გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 72
(11 426)

12 – 14 სექტემბერი, 2000 წ. ფასი 40 თეთრი

დაარსდა 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

16. 09–3 09.

სფფ-ს საგანგებო პლენუმის სხდომაზე

გუშინ გამართულ კოლეგიის სხდომაზე დისციპლინის დამრღვევებს შესაბამისი სასჯელები გამოუტანეს. მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ორი თამაშით დისკვალიფიცირება და 100 ლარი ჯარიმა მისცეს ხობის „ოლეხეთის“ ფეხბურთელს ფიფიას და სამხრეთდასავლეთის „ოკეანეს“ ფეხბურთელს მესაჩენკოს. ანალოგიური დარღვევებისთვის მცირედ გააფრთხილეს ზუგდიდის „დინამოს“ მწვრთნელები თუთბერიძე და ბერაძე, ქობულეთის „შუქურას“ მწვრთნელი ანანიძე და თითოეულს 100-100 ლარი ჯარიმის გადახდა დააკისრეს. „მერანის“ მწვრთნელი ჯიშკარიანი ასევე მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მკაცრად გააფრთხილეს, იგი 200 ლარ ჯარიმას გადაიხდის.

ზედმეტი აქტიურობისთვის „მერანის“ მეკარე დვალიძე და „ვიტაზორგიას“ ნახევარმცველი ყიფიანი კოლეგიამ გააფრთხილა.

კოლეგიის მესამე სხდომა 20 სექტემბერს გაიმართება.

ზურაბ ონანიაძე (მარცხნივ, თეთრ ფორმაში) ყველაზე სახიფათო იყო ტორპედოელთა რიგებში და ერთადერთი გატანილი გოლიც მის ანგარიშზეა..

პოლიტიკოსებიც...

ლონდონში ევროპის ორი წამყვანი ქვეყნის ლიდერი შეიყარა: დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა და გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა გერხარდ შროდერმა ერთობლივი განცხადება შეიმუშავეს, რომელშიც მთავრობა ევროკომისიას არ დაანგრიოს ფეხბურთელთა კლუბიდან კლუბში გადასვლის დღეს არსებული სისტემა. მთავარი ლეგიდაცია სატრანსფერო შეკანონების მთლიან მოშლას გამოიწვევს. განცხადებაში ნათქვამია, რომ „მოქმედი სისტემა ადეკვატური არ არის. მიუხედავად ამისა, რადიკალური რეფორმა ევროპულ ფეხბურთზენეგატიურად იმოქმედებს“. ლიდერისა და შროდერის აზრით, ევროკომისიის გადაწყვეტილება, პირველ რიგში, მიმართული იქნება ატარა პროფესიული კლუბების წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, ევროკომისია თვლის, რომ მოქმედი სატრანსფერო სისტემა ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანონებს, რომელთაც განსაზღვრულია საშუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება კავშირის ჩარჩოებში. ამასთან დაკავშირებით, ევროკომისიამ ფიფას ულტიმატუმი წაუყენა – 31 ოქტომბრამდე ან თავად შეიმუშაოს სატრანსფერო სისტემის „ალტერნატიული“ კანდიდატური კორექტივები, ან წინააღმდეგ შემთხვევაში სპეციალური კანონი ტაბუს დადებს ფიფა-უეფას ფუნქციონერებს.

მილოცვა

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახური და ლეგიტიმურებული მოჭიდაობის საქართველოს ფედერაცია „არაგვი“ დაბადებიდან 75 წლისთავს უდიდეს სალოცავად ლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პრომოციის პრეზიდენტის ბატონ ავთანდილ ჩიქოვანის ინიციატივით ჩატარებულ ტურნირს მართვის ორგანიზაციისა და სპორტის ისტორიის კათედრის პროფესორს, სეკ-ის ოლიმპიური აკადემიის წევრს, ბატონ ავთანდილ ციბაძეს.

გიორგი ჯაჯანიძე

ანა ლომინაძე



თამარ გელაშვილი

ქართველი სტუდენტები – უნივერსიადის ჩემპიონები!

ჩვენს სტუდენტ-მოჭადრაკეებს კარგად აქვთ დაკვებებული ბუღალტრის საყურორტო ქალაქი ვარნა, რომელმაც ასჯერ უმასპინძლა სტუდენტთა მსოფლიო პირველობას უძველეს ბრძნულ თამაშში. შეგახსენებთ, სწორედ იქ 1994 წელს ქართველმა სტუდენტებმა მოიპოვეს გუნდური ჩემპიონობა და ეს წარმატება ორი წლის შემდეგ ესპანეთშიც გაიმეორეს.

მათ ანგარიშზეა მეორე სპარიზი ადგილი, რომელიც 1992 წელსაა მოპოვებული. ამას გარდა, გვყავს ჩემპიონები. ეს სპარტიო წოდება 1992-ში მოიპოვა ლაშა ჯანჯგავამ. შემდეგ კი პირველობას დაეუღლა ნინო ხუროძე (1998) და აი, ქართველ სტუდენტ-მოჭადრაკეთა მორიგი ტრიუმფი, რომლის შესახებ გუშინ რედაქციაში გაგვცნობა საქართველოს სანივერსიტეტო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გივი მელურაძემ.

ცეროდა, მან თქვა: „ხელმოკლეობის გამო ვარნაში სამად სამი მონაწილე მივავლინეთ. მათგან ოსუ-სა და სპუ-ს რეპრეზენტაციის როინ მეტრეველისა და რამაზ ხუროძის მიერ გაღებული სამეულიდან თანხა მარტო ორ მონაწილეს მაია ლომინიძეშილს და თამაზ გელაშვილს გასწვდა, მესამე, გიორგი ჯაჯანიძილი კი საკუთარი ფულით, უფრო სწორად, ნასესხებით გამგზავრა ასპარეზობაზე ნუ დაგავიწყდებათ, რომ სხვა გუნდებს, იგივე რუსეთის, ჩინეთის, შესაბამისად 7და 8 მოჭადრაკეც ჰყავდათ.

ასპარეზობა შესანიშნავად წარმართა მაია ლომინიძილმა, რომელმაც წაუგებლად (6 მოგება, ორი ფაში) დაამთავრა ჩემპიონატი და მოიპოვა პირველობა. ჯაჭიშილი და გელაშილი 6,0-6,0 ქულით პირველ ხეთეულში მოხვდნენ. ბუნდერ პირველობაში კი, საკართველოს ნაკრები, რომელმაც 19 1/2 ქულა დააგროვა, ქულით ჩამორჩა გამარჯვებულ რუსეთის მოჭადრაკეებს და მეორე პრიზიორი გახდა.

ეძღვნება თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის 75 წლისთავს

1925 **75** 2000

თბილისის „დინამოს“ სტადიონის პირთამდე სავსე ტრიბუნები თვალს აყვეტებენ 1946 წლის 26 აპრილის მატჩს: მასპინძლად შეტევა სტუმართა კარზე – მეტეველი (შუქ მაისურებში) სცემინასტენ, სტანკევიჩი და როდიონოვსკი ცდილობენ შეაჩერონ თბილისელი ფორვარდები ანთაძე და ლოლობერიძე.

ახლა ხანძარი...

ამდენი წინააღმდეგობით ხფაითი ჯერ არც ერთი თამაშების გახსნის წინ არ ყოფილა. ჩირაღდნის მოგზაურობით დაწყებული და თამაშების გახსნის ცერემონიის რეპეტიციით დამთავრებული (ან ბოლო ხიფათია კი?) სიდნეი-2000-ს თარსი დღეები ნამდვილად არ დაკლებია. ამჯერად ფეიერვერკებმა რეპეტიციისას ხანძარი გაუჩინა სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის ბალახებს და ბუჩქებს, ცეცხლმა ტელეანძამდეც მიაღწია, ბოლოს კი, როგორც იქნა ჩააქრეს. რეპეტიცია ამ დროს 90 წუთით შეწყდა. ორგანიზატორებმა ყველას სთხოვეს საიდუმლოდ შეენახათ მომხდარი. ჟურნალისტები კი არც ხანძრის ობიექტებთან მიუშვეს და არც სტადიონზე შეუშვეს რეპეტიციაზე.

ერთი დროშით...

დღემდე ჩრდილოეთ და სამხრეთად გაყოფილი კორეა შეთანხმდნენ, რომ სიდნეიში ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე გამოვლენ ერთიანი დროშით, რომელზედაც მთიე კუნძული იქნება გამოხატული, შეჯიბრებებში კი ორივე ქვეყნის გუნდები ცალ-ცალკე იასპარეზებენ.

ჩირაღდნის გაბატონება სხვაღან...

ოლიმპიური ჩირაღდანი უკვე ავსტრალიაში მოგზაურობს და, მიუხედავად იმისა, რომ იგი საიმედოდ დაცული პოლიციის მიერ გარეშე პირთა ხელყოფისაგან, ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც მაყურებელთა რიგებიდან მოულოდნელად გამოვარდა, მაინც წაგლეჯა ხორბენალს ჩირაღდანი, მაგრამ პოლიციამ უმალ აღკვეთა თავდასხმა, ოლიმპიურმა ცეცხლმა კი გზა განაგრძო.

თბილისის „დინამოს“ გუნდის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალა იხილეთ მე-5 გვერდზე.

ოლიმპიურ თამაშებს 3 დღე გვაშორებს



გახსნაზე ქარგ ამინდს პარასუელ

როგორც ცნობილია, ზაფხულის ოლიმპიადის გახსნის ცერემონია პარასკევს შედგება. სინოპტიკოსების ვარაუდი სიმედოა: პალს 21 გრადუსი ცელსიუსით, მცირე სამხრეთის ქარი, უნალკედოდ.

პირველი პრიზი ქანაღელებმა დაისაკუთრეს

ოლიმპიური სოფლის გახსნის ერთი კვირის თავზე ჟურნალისტებმა იქ მომუშავე ვოლონტერებში (მოხალისეებში) ბალიკგამოთხვა მოაწყვეს – რომელი ქვეყნის სპორტსმენები არიან სამაკალითონი ჭამის კულტურაში. ორშ., ყველაზე სამაკალითონი ამ მხრივ კანადელები გამოდგნენ: ყოხტად მიირთმევენ, მერე კი მაგიდას თვითონვე ალაგებენ, ქილაღდის და პლასტიკის ჭურჭელსაც სპეციალურ კონტეინერში გადაუყრიხერებენ.

ახლა ხანძარი...

ამდენი წინააღმდეგობით ხფაითი ჯერ არც ერთი თამაშების გახსნის წინ არ ყოფილა. ჩირაღდნის მოგზაურობით დაწყებული და თამაშების გახსნის ცერემონიის რეპეტიციით დამთავრებული (ან ბოლო ხიფათია კი?) სიდნეი-2000-ს თარსი დღეები ნამდვილად არ დაკლებია. ამჯერად ფეიერვერკებმა რეპეტიციისას ხანძარი გაუჩინა სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის ბალახებს და ბუჩქებს, ცეცხლმა ტელეანძამდეც მიაღწია, ბოლოს კი, როგორც იქნა ჩააქრეს. რეპეტიცია ამ დროს 90 წუთით შეწყდა. ორგანიზატორებმა ყველას სთხოვეს საიდუმლოდ შეენახათ მომხდარი. ჟურნალისტები კი არც ხანძრის ობიექტებთან მიუშვეს და არც სტადიონზე შეუშვეს რეპეტიციაზე.

ერთი დროშით...

დღემდე ჩრდილოეთ და სამხრეთად გაყოფილი კორეა შეთანხმდნენ, რომ სიდნეიში ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე გამოვლენ ერთიანი დროშით, რომელზედაც მთიე კუნძული იქნება გამოხატული, შეჯიბრებებში კი ორივე ქვეყნის გუნდები ცალ-ცალკე იასპარეზებენ.

ჩირაღდნის გაბატონება სხვაღან...

ოლიმპიური ჩირაღდანი უკვე ავსტრალიაში მოგზაურობს და, მიუხედავად იმისა, რომ იგი საიმედოდ დაცული პოლიციის მიერ გარეშე პირთა ხელყოფისაგან, ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც მაყურებელთა რიგებიდან მოულოდნელად გამოვარდა, მაინც წაგლეჯა ხორბენალს ჩირაღდანი, მაგრამ პოლიციამ უმალ აღკვეთა თავდასხმა, ოლიმპიურმა ცეცხლმა კი გზა განაგრძო.

გოგი თოფაძისა და მის თანამდგომთა მეურვეობით სამთოსათხილამურო სპორტი ჩვენში იტოცხლებს...

ვინც ზაფხულში ზამთარზე ლაპარაკობს და რადაცას აკეთებს კიდეც, კარგი მეურნეა. გოგი თოფაძის ორგანიზატორულ შესაძლებლობებში ეჭვს აბა ვინ შეიტანს. ის სპორტშიც იმ მცირერიცხოვანი ფედერაციების პრეზიდენტთა შორისაა, რომლებიც თანდაუნაღად უძღვებიან საქმეს. თანდარიგში ამჯერად იმას ვგულისხმობთ, რითაც დავიწყეთ ეს წერილი. მიიწურა წინა სპორტული სეზონი სპორტის ზამთრის სახეობებში და იწყება ახალი. რას მოვაღწიეთ და რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ? დღეს ზამთარი სპორტის სახეობებისთვის წლის სტანდარტულ კალენდარში აღარ თავსდება და სხვა დროსაც, ბუნებრივ თუ ხელოვნურ საასპარეზოზე მზადებას და შეჯიბრებებს განაგრძობენ თხილამურებით, ცივ ურებით თუ ცივებით. იგივე გოგი თოფაძის შემწეობით, ჩვენებიც ბარეთენენ მზადება-შეჯიბრებების ამ უწყვეტ ციკლში. ახლა კი იმისათვის შეიკრიბნენ ფედერაციის გამგეობის წევრები, რომ შეეჯამებინათ გაწეული შუშაობა, დაესახათ პერსპექტივა და გამგეობის შემადგენლობა შეევსოთ თანამდგომით ახალი ჯგუფით.



გოგი თოფაძე: „ინსპრუქციით ჩვენმა ფედერაციამ სასტუმრო-სახიდულიშორო ბაზაში აიღო 30 ადგილი, სადაც წელიწადში ორჯერ გადიან მზადების ციკლს ჩვენი სპორტსმენები სამ-სამი კვირით. ბოლოს გასულ ივნისში გაიარეს სამკვირიანი შეკრება. ახლა ჩვენები იტალიაში მიდიან და უშუალოდ თოვლზე განაგრძობენ ვარჯიშს. უკვე მთავღუეთ იმას, რომ არ გამოიტოვოთ მნიშვნელოვანი შეჯიბრებები, ევროპის სეკრების გაშინაურებამ მოგვცა შესაძლებლობა მსოფლიო ასპარეზობებშიც ჩავეჭროთო. ვფიქრობთ, მოვხედებით ძირითად სტარტებში, მიზანი გამოკვეთილია, უნდა მივუახლოვდეთ ან დავდგეთ კვარცხლბეკზე.

ეს რაც შეეხება საგარეო სპორტებს, მაგრამ ჩვენ უნდა მივხედოთ შიდა პრობლემებს, რათა არ შეშუპდეს მემკვიდრეობითობა. სვანეთში ვაეი ჯაფარიძის ლიკაკურიანში გრიშა ასლანიანის ენთუსიაზმით ოსტატდებიან ნიჭიერი მოზარდები. პერსპექტიული ბავშვები არიან გუდაურში და ყაზბეგში, ვარგად მუშაობს განათლების სპეციალიზებული სპორტული სკოლა. ჯახბეგში ორი ნიჭიერი გოგონა გამოჩნდა — მათ სპორტულ აღჭურვაზე ზრუნავს და ბევრს აკეთებს ვახტანგ მაქელაძე. ახალი სახელები ნელ-ნელა იმკვიდრებს ადგილს საქართველოს ნაკრებში, მთა შორის თბილისიდან. სამწუხაროდ, სასურველ დონეზე ვერ აღწევ მუშაობა ბაკურიანში. იქ არსებული პრობლემები ერთხე ნაკლებადაა დამოკიდებული. პირველ ყოველისა, ესაა ფული და გზა. დენი თითქოს უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაპირებები არ სრულდება.

მე და გერა აბრამიშვილმა ბევრი ვიწვალეთ, ჩამოვიყვანეთ ბაკურიანში ავსტრიიდან და მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტები, შეიდეგ დასკვნისთვის მოავლინეს საუკეთესო ექსპერტი. ყველა ობიექტებული დარჩა. დასკვნა ასეთია: ევროპა — ახლისთვის ერთობლივად ხელმისაწვდომი უკეთესი ადგილი არ არსებობს იმ ორი კონტინენტის თავისებურ ცენტრშია. ასე რომ, დროა გამოვფხიზლდეთ, დროა დავიწყოთ ბაკურიანის ალორძინება, ინვესტიციები არის, მაგრამ ინფრასტრუქტურა (კომუნიკაციები, მისასვლელი გზები, წყალი, ელექტროენერგია) ჩვენმა ქვეყანამ უნდა მოაგვაროს, რისთვისაც 2-2,5 მილიონი აშშ დოლარია საჭირო. ყველაფერი შეიძლება გაკეთდეს ბუნებრივი ლანდშაფტის ხელუხლებლად. თუ ეს სამუშაოები ჩატარდება, 18-20 მილიონი ინვესტიცია უკვე შეგულებულია. მსოფლიო ფედერაცია მზადაა საქართველოს ფედერაციასთან 50X50-ზე გაყოს ბაკურიანის ზამთრის საკურორტო პოტენციალის შემოსავლები. მანამდე აღპაო უნდა ვიფიქროთ ე.წ. უტიცეს ბაზის აღდგენაზე, რათა ბაკურიანში სამოვიანი მზადების შესაძლებლობა მაინც ჰქონდეთ ჩვენს სპორტსმენებს.

ინვენტარსეც ვიტყვი. აღრე თუ გვარა აბრამიშვილის უცხოელებთან მეგობრული ურთიერთობით როგორღაც ხერხდებოდა ინვენტარის და ფორმის უსასყიდლოდ მიღება, ახლა კუკლაფურს ვეღარ ვლობთ. ასე იქნება ვიდრე სათხილამურო სპორტის ელიტაში არ შევალთ. შარშან 48 ათასი აშშ დოლარი გაველეთ ნაკრებისთვის, მარტო 8-10 წყვილი თხილამური ესაკმარება წელწადში სპორტსმენს. კოდევ კარგი, ზოგიერთი შვილები გეგეხლება ამ საქმეში. მაგრამ საკუთარი ხარჯების გაწევა ყველას ხომ არ შეუძლია. თამრიკო რობაქიძე ძალიან ნიჭიერი გოგონაა, მაგრამ ვერ აფინანსებს ოჯახი. 6-7 თვე გამუდმებით დგას თხილამურზე სპორტსმენი. არ უნდა გამოტოვო შეჯიბრებები, სპორტსმენი სხვაგვარად ვერ გაიზრდება, ასეა მთელ ევროპაში. ჩვენ ჯერ სპორტის ზამთრის სახეობებს, კერძოდ, სამოთხილამურების გადარჩენაზე გვაქვს საზრუნავი, მერე ეკ-ლენდებზე. უყურადღებობით ეს სახეობაც ისე მალე ჩაკვდება, როგორც ცოგაობა ჩაკვდა ჩვენში.

უნდა დავუფიქრდეთ უნიკალური

იხ. გვ–7 გვ.

Sydney 2000

სიდნეის ოლიმპიური თამაშებიდან მორიგილე საქართველოს სპორტსმენთა და ნაკრება გუნდებზე მიმავალებულ პასუხისმგებელ პირთა სია

სპორტის სახეობა სახელი გვარი	პასუხისმგებელი პირები	პროგრამის ვადები
ძიუდო		
ნესტორ ხერგიანი	ლ. ხაბელოვი	16.09
გიორგი ვაზაგაშვილი	მ. მეტრეველი	17.09
გიორგი რევაზიშვილი	ვ. კანკავა	18.09
გიორგი გუგავა		20.09
იგორი ჯიქურაული		21.09
ალეკო დავითაშვილი		22.09
ჭიდაობის სროლა		
ნინო სალუქვაძე	თ. იმნაიშვილი	16-23.09
ნინო უჩაძე	თ. თეგზაძე	16-23.09
სპ. ტანვარჯიში		16-25.09
ილია გიორგაძე	რ. სიხარულიძე ქ. ღლონტი	
ცურვა		
ზურაბ ბერიძე	ქ. ღლონტი	16-23. 09
კრივი		
თემურ ხურცილავა	თ. თეგზაძე	16.09-01.10
ვლადიმერ ჭანტურია		21.09-01.10
მშვილდოსნობა		
ხათუნა ქურივიშვილი	თ. იმნაიშვილი	17.22.09
ხათუნა ფუტკარაძე	თ. თეგზაძე	17-22.09
ასმათ დიასამიძე		7-22.09
წყალში ხტომა	ქ. ღლონტი	22-30.09
ნანა ნებიერიძე		
ბატუტზე ხტომა		22-23.09
რუსუდან ხოფერია	რ. სიხარულიძე ქ. ღლონტი	
მძლეოსნობა		
რუსლან რუსიძე	თ. მღნარაძე	23.30.09
თამარ შანიძე		
ძალოსნობა		
გიორგი ასანიძე	თ. თეგზაძე	29-28.09
მურად გოგია	ვ. კანკავა	25.28.09
ვალერიან სარავა	მ. მეტრეველი	26-28.09
ბრ. ჭიდაობა		
ტარიელ მელელაშვილი	ლ. ხაბელოვი	24-27.09
გენადი ჩხაიძე	ვ. კანკავა	24-27.09
ალექსი ცირკაძე	მ. მეტრეველი	24-27.09
კობა გულიაშვილი	დ. გობეჟიშვილი	24-27-09
მურად ვახტანგაძე		25-27.09
აკაკი ჩაჩუა		25-27.09
მირიან გიორგაძე		25-27.09
მხ. ტანვარჯიში		
ინგა თავდიშვილი	რ. სიხარულიძე	28.09-01.10
თავ. ჭიდაობა		
ელდარ კურტანიძე	ლ. ხაბელოვი	28.09-01.10
დავით პოლოსიანი	ვ. კანკავა	28.09-01.10
გურამ მჭედლიძე	მ. მეტრეველი	28.09-01.10
ემზარ ბედინაშვილი	დ. გობეჟიშვილი	29.09-01.10
ოთარ თუშიშვილი		29.09-01.10
ალექსანდრე მოდებაძე		29.09-01.10

13 სექტემბერს, დილით, 6 საათზე, დელეგაციის ყველაზე მეტი წევრი – 44, გაემგზავრება ოლიმპიურ თამაშებზე მარშრუტით: თბილისი–ათენი–ბარსელონა–სიდნეი.



სიდნეის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა

„ოლიმპიელი" №2–3

სიდნეიში ოლიმპიური თამაშების მიერ დაწყებისა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ბიულეტენის ფერადი ფურცლები გამოვიდნენ წელს მე-2 და მე-3 გაერთიანებული ნომრები. ფურცლები (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი), როგორც ყოველთვის, აშკერადაც ქართულ-ინგლისურ ენოვანია და მრავალ საინტერესო მასალას ატევს. წამყვანი თემა, ცხადია, საქართველო და მოსაწოლებული ოლიმპიური თამაშებია. აქვეა წარმოდგენილი უველა ოლიმპიელის ფოტო და „ასავიზიო ბარათი". ქვეყნების ქართული და უცხოეთის სპორტის საინტერესო მასალები. „სიდნეიში ჩვენი წარმატება ჩაერთვით სპირდება საქართველოს სპორტს, მოელ ქვეყანას და მის ხალხს. სიდნეის შედეგებზე ბევრადაა დამოკიდებული ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის მომავალი" — წერს მოწინავე წერილში ემზარ ზენაიშვილი.

700 ათასი ტურისტი

ორგანიზატორების შეფასებით, სიდნეის ოლიმპიადას დაახლოებით 700 ათასი ტურისტი დაესწრება. ოლიმპიადის საქმეთა მინისტრი მაიკლ ნაიტს აწუხებს საკითხი, შეძლებს თუ სიდნეის სატრანსპორტო სისტემა მათ ჯეროვნად მომსახურებას.

ორგანიზატორებს ერთი საკითხიც აღელვებთ: მათ რომ ოლიმპიადის ხარჯები დაფარონ, კიდევ უნდა გაყიდონ ბილეთები 100 მილიონი დოლარის ღირებულებით.

საიდან გამოგჭყვრა ეს ბრონქიტი

ევროპის 1998 წლის ჩემპიონი 100 მეტრზე ობენაში კრისტინ არონი იძულებული გახდა შეეწყვიტა ვარჯიში ოლიმპიადისთვის. სპორტსმენი ქალი უკლესი ტკივილებს განცდობდა, რომელიც ბოლოს ბრონქიტში გადაიზარდა.

მარკოპოლს აღქირელი დაუპირისპირდება

როგორც მიშამზიდულება ელიან, მსოფლიო ჩემპიონს 1500 მეტრზე ობენაში იშამ ელ-გარუჯს სერიოზულ კონკურენციას გაუწევს მეტად ნიჭიერი ალჟირელი სპორტსმენი ალი საიდ-სიეთა. იშამ ელ-გარუჯს აქამდე არა აქვს ოლიმპიური ოქრო, რადგან ატლანტაში ბილიარზე მოეულიდეულად წააქცა. ამის შემდეგ მას სპორთშორისო შეჯიბრებში ბევრი წარმატება ჰქონდა, ფიქრობდნენ, რომ სიდნეში პირველი იქნებოდა, მაგრამ ახალგაზრდა ალჟირელმა სპორტსმენმა ბოლო ასპარეზობებში ჩინებული შედეგებს მიაღწია. „მე არ შემინია არც იშამ ელ-გარუჯისა, არც ეთიოპიელ ჰაილე გებრესელასიენესი" — აცხადებს ალი საიდ-სიეთა.

არავითარი ლიმუზინები და ვიდიღრული აპარტამენტები

წინა ოლიმპიადაზე სოკ-ის არაერთი წევრი გააკეთუნეს, რომ ახინი ძალიან მდიდრულად ცხოვრობდნენ. ამიტომ პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა გადაწყვიტა უველას მაგალითი უჩვენოს. იგი სასტუმრო „რეგენტში", სადაც ოროთახიანი ნომერი უკვია, ლიმუზინით კი არ მივიდა, არამედ ჩვეულებრივი მიკროავტობუსით, რომლებითაც ახლა სავსე მთელი სიდნეი.

2,03 სმ–ს ძაძლევა სურს

ერთ-ერთი სინჯის ოლიმპიური მედლის მოპოვებაზე აცხადებს პრეტენზიას 24 წლის შვედი სიმაღლეზე მხტომელი კაისა ბეკერტი, რომელმაც ამ დღეებში ქ. ფალუნაში 2 მეტრი დაძლია. ამ ნახტომმა იგი 2000 წლის სეზონში მსოფლიო სატაბელო რანგში მესამე ადგილზე დააყენებინა. სიდნეიში 175 სმ სიმაღლის კაისაღიია ქალიშვილი (იწონის 59 კგ-ს) 2 მ 03 სმ-ის ძაძლევას ამირებს. მისი ერთ-ერთი მეტოქე რუმინელი მონიკა იაგარ-დინესკუ იქნება, რომელმაც ამ დღეებში 196 სმ-ის სიმაღლე აიღო.

ბუშკა კალაპოტიდან ამოვარდნილია

36 წლის „ბოკას მეფე" ხერგეი ბუბკა, „აშკარად ძალიან შორსაა ჩვეულო სპორტული ფორმისაგან. ეს კიდევ ერთხელ ხანინი გახდა ქ. პადუანი (იტალია), უკრაინელმა მძლეოსანმა საწვთნო სიმაღლე — 5 მ 40 სმ ვერ დაძლია და გამოეთიშა ტურნირს. სეზონში კი მისი საუკეთესო ნახტომი 5 მ. 55 სმ იყო. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე შორსაა მის მსოფლიო რეკორდად — 6 მ. 14 სმ. საინტერესოა, რას იზამს ბუბკა სიდნეიში. ახპარეზობა პადუანში, შედეგით 5 მ. 50 სმ მოიგო შვედმა პატრიკ კრისტიანსონმა.

ნინო სალუქვაძე – №12

რუს ჩუბინ ქალს მარინა ლაგვინენკოს ტყვიის მსროლელთა სამყაროში ყველა კარგად იცნობს და ამიტომ დიდი „წარდგინება" არ სჭირდება. ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია. ბარსელონა-92-ზე მოიგო ოქროს მედალი პისტოლეტის და პნევმატური პისტოლეტის სროლაში, ატლანტა-96-ში ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ატლანტა-96-ში ვერცხლისა და ბრინჯაოს დაეკუთვნა და ახლა 39 წლის მსროლელი ეშზიდება სიდნეიში გამოსასვლელად.

კორესპონდენტის კითხვაზე, „სინტერესოა, მეოთხე ოლიმპიადისათვის მოამზადა თუ არა ადგილი პირველად შეიდრებით"? მან უპასუხა:

— არასოდეს დავფიქრებულვარ, იოლია თუ ძნელი. ნებისმიერი შეჯიბრებისათვის ვემზადები ერთნაირი სერიოზულობით, მთელი ძალით. იმიტომ, რომ შეიდზე პასუხი მომეთხოვება. ამასთან, დარწმუნებული ვარ, ეს ოლიმპიადა უკანასკნელი არ იქნება ჩემთვის.

● ***შეგწევთ ძალა ოლიმპიადის მოსაგებად?***

— რა თქმა უნდა, სხვაგვარად არც მოვემზადებოდი. მაგრამ სიდნეიში უმეცარესი კონკურენცია იქნება. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა წამოვიდა, მაღალი ამბიციებით. ძალიან სერიოზული კონკურენტები მეყოლება, პირველ ყოველსა, ქართველი ნინო სალუქვაძე, შემდეგ ეუგოსლავიელი ირინა სკაჩორინი და ბულგარელი მარინა გორნოვა. და კიდევ იქნებიან სხვები...

ისე რომ, ნინო ყველასთვის ანგარიშგასაწევი მეტოქე იქნება, თუთ ასეთი ავტორიტეტისათვისაც კი!

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა IV ტური

მავთულბადეც, დაილოცოს შენი მოგებონი!

მცხეთა. «არმაზის» სტადიონი. «ვიტ ჯორჯია» (თბილისი) — «დინამო» (თბილისი) 1–0.

ვიტ ჯორჯია: მერაბანი, ჯ. მუჭირი, ჭიკაძიანი, კობიაშვილი, დოლიძე, დიღმელაშვილი, ნოზაძე, დეკანოსიძე (ვ. გოზაშვილი, 84), გ. ქორიძე (ი. ბაქაიაურიძე, 89), ლ. მელქაძე, სულთანიშვილი.

დინამო: ჩიხრაძე, ქემოლაძე, ვაშაკიძე, ზამთარაძე, სახვაძე, შაშიაშვილი, დათვაძე, ჯინჭარაძე, სიჭინავა, გოგოლაძე (ზარაქაშვილი, 46), გადელია (მაზიაშვილი 46)

გოლი: ქორიძე (28).

გაფრთხილება: მელქაძე.

მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი).

სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, როცა მატჩის დამთავრებამდე ზუსტად ხახვაო ტაიმით ადრე მასპინძელთა ფორვარდ მელქაძეს მეტოქე მცველები საყოთხე საჯარიმო მოედანში საკმაოდ ხისტი ილეთით დაუხვდნენ. იმ წამს მთელმა სტადიონმა მზერა არბიტრისაკენ გადაისროლა — დანაშაულს ხედავსო? ა. მეშკოვი შეუფალი იყო: წესები არ დარღვეულა, თამაში გაგრძელებულიყო — ანშლაგი მსაჯმა. ან აქ კი ბევრ მაყურებელს უმტკივნეულოდ ნერვებმა, ყველაზე აგრესიულები საფეხბურთო მინდორის რომ ეკვრის, იმ მაკიაულამდეც მიაწვდნენ და საკმაოდ მძლავრად შეანჯღრიეს, თავად მიხვდებით, მათი რისხვა მსაჯებისკენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, მატჩის დღეგებისკენ იყო მიმართული. საბედუხაროდ, მათ შორის, ვინც ნერვები ვერ მოითოკა და პრობლესტი ასეთი არაცივილიზებული მეთოდით გამოხატა, იყო „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი გურამ რუხაძე. კლუბის თავკაცის ასეთი მოქმედებით გაფუვანებული მაყურებლები „დინამოს" სათადარიგო მოთამაშეებსაც გადასწვდნენ და ვინ იცის როგორ დამთავრებოდა ყველივე, სტუმრებს რომ სპასუხო გოლი გაეტანათ...

„დინამომ" მატჩი აქტიურად დაიწყო და დაბლოებით ოცი წუთი ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდა. ეს მოხდა მოედნის ცენტრში ჯინჭარაძე — სიჭინავა — დათვაძის გარჯის წყალობით, მაგრამ რეალური საფრთხეები გუნდმა ვერ მოიპოვა, ვინაიდან ძალზე უმწეოდ მოქმედებნენ ფორვარდები. ამიტომ იყო, რომ დინამოელთა თავგანცმა რევაზ არველაძემ გოგოლაძე — გადელიას წყვილი მეორე ტაიმში ზარაჭაშვილი — მაზიაშვილით შეცვალა, ის, რომ „დინამომ" ანგარიშის გაგვითვა ვერ შეძლო, ვიტჯორჯიელთა მცველებისა და, განსაკუთრებით, მეკარე მერაბანის თავგანწირულ თამაშს უნდა მივაწეროთ. გამარჯვების გოლი კი პირველ ტაიმში გავიდა მელქაძე-ქორიძის გარღვევის და დიხამიელთა მცველების საოცარი ინერტულობის გამო.

რაკი დინამოელთა მცველების მოქმედებაზე ჩამოვარდა სიტყვა, შეგახსენებთ, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ გვითქამს: დღეს მცველები ასე ღარანად თამაშობენ — არც ურთიერთდაზღვევა, არც სინქრონული მოქმედება, არც ზონური და პერსონალური მეურვეობის ურთიერთშენაცვლება. რაც ყველაზე საკვირველია, ტანადი დინამოელი მცველები საჰაერო ბრძოლასაც აგებენ. ადრე „დინამოს" დაცვითი ხაზი, ასე თუ ისე, ფრანს გადიოდა ცენტრალური მცველის გივი დიდავას კვალიფიციური თამაშის წყალობით, ახლა კი, როცა იგი ისრაელში გაიყიდა, გუნდის დაცვაში უზარმაზარი ნაპრალები გაჩნდა.

ჯემალ ხიკაშვილი

„ბორპედო" ერთპიროვნული ლიდერი ხდება

«ლოკომოტივი» (თბილისი) — «ტორპედო» (ქუთაისი) 4–0

ლოკომოტივი: ლომაია, აბრამიძე (გონჩაროვი, 64), თოდუა, ლეკვეიშვილი, მიქაძე, ხიზანიშვილი, გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, გ. შენგელაია (ბალაშვილი, 55), რუსია, დავითაშვილი (ტურაშვილი, 55).

ტორპედო: ზოიძე, იონანიძე, მაზგილაძე, კ. კვეტენაძე, გ. ჩხაიძე (ჩხეტიანი, 73), დ. ჯანაშია, თურმანიძე, გუჩუა (ასათიანი, 81), აბეთელიანი, იმედაძე (შეყრილაძე, 73), ხვადაგიანი.

გოლები: 0-1 იონანიძე (61).

გაფრთხილება: რუსია, ჩხაიძე, ჯანაშია.

მსაჯი: დ. სანაია (ხოსპუმი).

ლუთარ მატხაზიშვილის ფოტო

ლოკომოტივი – ბორპედო

მატჩისაგმი ინტერესს გუნდების სატურნირო მდგომარეობა აძლიერებდა. ამ შეხვედრამდე „ლოკომოტივის", „ტორპედოს" უღანაკლოდ მიწევდნენ წინ. მატჩი შარშანდელი სათასო ფინალის თავისებური განმეორებაც გახლდათ. ამჯერად უფრო იღბლიანი „ტორპედო" გამოდგა და სამ ქულათან ერთად გარკვეული რევანშიც აიღო ფინალში დამარცხებისთვის. მოლიანობაში შეხვედრას დაბრუნებაც კი ახლდა, მაგრამ ფეხბურთელთა თამაშში წუნიც ბევრი იყო, განსაკუთრებით დამგეგრგეგილებულ ფაზაში. ამის მიზეზით მოელი ტაიმი თითქმის ისე გაიარა, რომ საგოლე მომენტებს ვერც მასპინძლები, ვერც სტუმრები ვერ ქმნიდნენ. მეორე ტაიმში შეხვედრის საერთო სურათი არ შეცვლილა, თუმცა, ერთი ეპიზოდი „ლოკომოტივს" კარისკენ დანიშნული საჯარიმო ქუთაისელებმა ჩინებულად გამოიყენეს. დავით ჯანაშიას ჩაწოდებულ ბურთს საჯარიმოში ზურაბ იონანიძემ თავი შეაგება და როგორც შემდგომ გაირკვა, იგი ერთადერთი, გამარჯვების მომტანი გოლი გახდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ინციდენტი მოხდა, რომელმაც შეხვედრას გარკვეულწილად ჩრდილიც მიაჯნა. ასე გამწარებული დავით ყოფანი ცარგა ხანია არ გვინახავს. „მთელი პირველი ტაიმი ერთ-ერთი მაყურებელი პირადად მე მაგინებდა და ვეღარ მოვითმინე, ამიტომაც გავემართე ტრიბუნისკენ" – იტყვის შემდგ ყოფანი. ერთი გულშემატკივრის უსაქციელობამ ლიდერთა მატჩი კინაღამ ჩაშალა. საბედნიეროდ, ინციდენტი მალე ჩაცხრა. უწესობასაც წერტილი პოლიციამ დაუსვა. მატჩი კი თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა. პრესკონფერენციაზე მხოლოდ ყოფანმა ილაპარაკა. გულისტკივილი გამოთქვა მთავარმწვრთნელის გამო, შეაბო მეტოქე და მწვრთნელი. ბოლოს კი ეს თქვა: „ცრატკას მეც და ძოძუაშვილიც მივიღებთ, გინებას კი, ნეტას უკარაიად". ტურის ცენტრალური მატჩი ჩემპიონმა მოიგო და ერთპიროვნულად ლიდრობს პირველობას. ორ თბილისურ გასვლით შეხვედრაში ქუთაისელებმა მაქსიმალურ ქულათა მარაგს მოუყრეს თავი და სამართლიანად დაწინაურდნენ.

საბა ლომიკაძე

დინამო (ბთ) — სიონი 2-1
კოლხეთი-1913 — თსუ 2-4
დილა — გორდა 2-2
მერანი — იბერია 3-1

ტურის სხვა შეხვედრებიდან უპირველესად სტუდენტების მიერ ფოთში გამომცხვარი „სენსაცია" უნდა აღინიშნოს. თსუ-მ საკუთარ თავს აჯობა, სრულად გამოიყენა კოლხების ყველა მინუსი და ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა. დაძაბული გამოდგა მატჩი გორში. ამჯერად „გორდა" ალარ შერცხვა და გასვლითი მატჩიდან ქულა აიღო. ბათუმის „დინამომ" და „ერთიამ" სტუმრებს ზანსი არ მისცეს და მკვეთრად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
ტორპედო	4	4	0	0	7-0 12
ლოკომოტივი	4	3	0	1	12-2 9
ვიტ ჯორჯია	4	2	1	1	6-3 7
მერანი-91	4	2	1	1	7-5 7
დილა	4	2	1	1	5-6 7
გორდა	4	2	1	1	6-9 7
დინამო (ბთ)	4	2	0	2	6-7 6
დინამო (თბ)	4	2	0	2	3-5 6
კოლხეთი-1913	4	1	0	3	4-6 3
სიონი	4	1	0	3	3-5 3
თსუ	4	1	0	3	6-11 3
იბერია	4	0	0	4	1-7 0

ამონაწერი ოქმებიდან:

დილა — გორდა 2-2

დილა: მდოგანი, აკოფაანი, გრიგალაშვილი, ლომძე, ლ. გოზაშვილი (მისურაძე, 83), გაგნიძე, ციცქიშვილი, ხორავაშვილი, ა. ხმაიაძე, კოტორაშვილი, ეკოშვილი (ტუღუში 69).

გორდა: ნიკურაძე, გაბელაია, ბეკაური, ბურნაძე, ზურაბ ლაბაძე, ბუკია (ცისკარიშვილი, 46), მელაძე, ბახილაია, იეფრანი, მიშველაძე, ბერიაძე.

გოლები: 1-0 ხორავაშვილი (71 პ.), 1-1 მელაძე (73, პენ.), 1-2 იეფრანი (84), 2-2 კოტორაშვილი (90).

გაფრთხილება: ხმაიაძე, ლაბაძე.

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი), ლ. სილაგაძე, მ. ურუშაძე (ორივე — თბილისი). ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

მერანი — იბერია 3-1

მერანი: ნაჭყებია, გუჭაბიძე, დეკორიძე, ილურიძე, დ. გოდერძიშვილი, ხორხელი (ვ. კვეტენაძე, 75), კაკუბავა, ჭინჭარაული, მინაშვილი (ყოტესაშვილი, 87), მუშინი, ბოლქვაძე (ოდიშარია, 60).

იბერია: ჩოჩახიძე, ფქანია, ჯ. ნოზაძე, სანაყიდე, მიქელაძე, ლ. ხმალაძე, ოდიაძე, შუქლაძე (კაკაშვილი, 33), ბიწაძე, მეტრეველი, გიგიაძე.

გოლები: 1-0 გოდერძიშვილი (13), 1-1 ოდიაძე (55), 2-1, 3-1 გოდერძიშვილი (79, 85 პ.).

გაფრთხილება: ნაჭყებია, მეტრეველი, ხორხელი.

მსაჯები ზ. ანთაშვილი (გორი), ზ. ჯვარიძე (თბილისი), ლ. რაზმაძე (ქორი), ა. ორდინიძე (ონი).

კოლხეთი–1913 — თსუ 2–4

კოლხეთი: ჩქონა, გორაზია, ტორჩინავა, ფრანგიშვილი, კიკლიაშვილი (კვირკველია, 75), თედორაძე (ხუმუა, 60), ფანჩულიძე, მალალაძეული, ტაღანიძე, ე. გვასალია, კრასოვსკი (შავგულიძე 67).

თსუ: მამარდაშვილი, ზ. ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, სვანძე, გოცირიძე, ახალაძე (ვადაჭკორია, 81), მესხი, ერაძე, ადამია (ე. ალადაშვილი, 67), ბოკერია (წუწუნავა, 55).

გოლები: 0-1 გოცირიძე (7), 1-1 ფანჩულიძე (43), 1-2 წუწუნავა (58) 1-3 ახალაძე (69), 1-4 წუწუნავა (83), 2-4 შავგულიძე (3.87).

გაფრთხილება: ფრანგიშვილი, გორაზია, ხუმუა, გოცირიძე, სვანძე, ახალაძე.

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ელაჯაშვილი (სამივე — თბილისი), ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

დინამო (ბთ) — სიონი 2–1

დინამო: ბეგიაშვილი, ქერაშვილი (სხპარულიძე, 49), მინდაძე, თედორაძე, ჰაპიძე, მგალობლიშვილი, ლურინტი, ჭელა ქორიძე, ფუტკარაძეული (კაკაბაძე, 77), ა. მუჭირი, აფხაზავა (რომანაძე, 69).

სიონი: ვოლკოვი, მოისურაძე, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიაშვილი, გამცემლიძე (ჯ. მატრაკვეული, 46), ისიანი (ჩაგელიშვილი, 81), ბარნოვი, სილოლაშვილი, წიფრიკაძე, მოსესშვილი.

გოლები: 1-0 ა. მუჭირი (40 პ.), 1-1 მოსესშვილი (67), 2-1 ქორიძე (68).

გაფრთხილება: ქერაშვილი, ფუტკარაძეული, მგალობლიძე (ჯ. მატრაკვეული, 46), ისიანი (ჩაგელიშვილი, 81), ბარნოვი, სილოლაშვილი, წიფრიკაძე, მოსესშვილი.

მსაჯები: ა. კრიკუნაშვილი (თბილისი), ვ. კაკაბაძეშვილი, ნ. რუსიაშვილი, ჯ. დოგრაშვილი (სამივე — ქუთაისი).



ასპარეზობები და დღეები

13 სექტემბერი, ოთხშაბათი
ფეხბურთი. ჯგუფური ტურნირები

ვაკეში

„A" ჯგუფი
12.30 ნიგერია — გონდურასი. ადელაიდა.
14.00 ავსტრალია — იტალია. მელბურნი.

„C" ჯგუფი
13.00 კამერუნი — კუვეითი. ბრისბენი.
14.00 აშშ-ჩეხეთი. კანბერა.

ქალებში

„E" ჯგუფი
11.00 ავსტრალია — გერმანია. კანბერა.
11.00 შვედეთი — ბრაზილია. მელბურნი.

14 სექტემბერი, ხუთშაბათი
ფეხბურთი. ჯგუფური ტურნირები

ვაკეში

„B" ჯგუფი
12.30 კორეა — ესპანეთი. ადელაიდა.
14.00 მაროკო — ჩილე. მელბურნი.

„D" ჯგუფი
13.00 ბრაზილია — სლოვაკეთი. ბრისბენი.
14.00 სამხ. აფრიკა — იაპონია. კანბერა.

ქალებში

„F" ჯგუფი
11.30 აშშ — ნორვეგია. მელბურნი.
11.30 ჩინეთი — ნიგერია. კანბერა.

შენიშვნა. აქ და შემდგომში დრო თბილისისაა.

ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

19 სექტემბერს, 14 საათზე, სფფ-ს შენობაში (იმამაიძის 5), გაიმართება სფფ-ს მწვრთნელთა საბჭოს სხდომა. დღის წესრიგშია ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისთვის მზადების საკითხი.

სხდომის შემდეგ გაიმართება პრეს-კონფერენცია სფფ-სა და ნაკრების ხელმძღვანელობასთან.

უეფას რეგიონთა თასი

გზა სრულყოფისაკენ

UEFA REGIONS' CUP

იცით, უეფა როგორი მზრუნველი ორგანიზაციაა და ჩანაფიქრის ასრულების როგორი გამოცდილებაც აქვს. მოყვარულ ფეხბურთთა ლიგა უეფის რეგიონთა თასის პირველი გათამაშება შარშან გაიმართა, ახლა კი მეორე გათამაშების შესარჩევი ტურნირები მიმდინარეობს. საქმეს ისეთი პირი უჭირს, რომ ეს შეხვედრები ტრადიციული გახდება და უეფას კალენდარში კუთვნილ ადგილსაც დაიკავებს. თასის გათამაშების ორგანიზაციაში უმთავრესად მონაწილეობს სფეს საერთაშორისო ურთიერთობათა და ფეხბურთულთა სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტის თავმჯდომარე დავით კეტრაძეზელი. ოგი უეფას სამოყვარულო ფეხბურთის კომიტეტის წევრია.

● ერთი წლის განმავლობაში რა შეიცვალა გათამაშების სისტემაში?

— ტურნირისადმი ინტერესი მკვეთრად გაიზარდა, იმატა გუნდების რაოდენობამ, რამაც შეცვალა გათამაშების სისტემაც. განსაკუთრებით მიხედით ჩამოყალიბდა 9 ქვეჯგუფი 4-4 გუნდით, კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით, კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ მე-5 და მე-7 ქვეჯგუფების გამარჯვებულები ერთმანეთში შეხვდებიან და ფინალური ტურის საგზურს გაიმოპოვებენ. ერთი ასეთი ტურნირი უკვე ცნობილია, მოსკოვში გამართულ ტურნირში გამარჯვება იუგოსლავიის ეოიჯოდინის რეგიონის ნაკრებმა და ახლა მეტოქეს მოლიდნებში (რუსეთში გამართული ტურნირის დეტალები დავით პეტრიაშვილი იყო — ავტ.). ფინალი, რომელშიც 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, გაიხად გაიმართება (შესაძინელი ქვეყანა ჯერ დადგენილი არ არის — ავტ.). შესარჩევი ეტაპი წლეულს უნდა დარეგდეს.

● როგორია მოსარჩევ ჯგუფების შერჩევის კრიტერიუმები?

— თასის გათამაშების უპირველესი მიზანი რეგიონებში ფეხბურთის განვითარება და სავეთოსოთა წარმოჩენაა. ეს, ფაქტობრივად, მაია ევროპის ჩემპიონატია, ისინი სპრთაშორისო მატჩებში ასპარეზობის გამოცდილებას იძენენ და საშუალება ექნეთო უფრო მაღალი რანგის გუნდებში გადაინაცვლონ. ევროპაში სამოყვარულო ფეხბურთი მაღალ დონეზეა. ჩემპიონატები რამდენიმე ლიგაში ტარდება. შედგომაში პრიორიტეტი მიენიჭება იმ ქვეყნებს, სადაც რეგიონული ჩემპიონატები ტარდება, ამით უეფა ფაქტობრივად რეგიონებში ფეხბურთის განვითარებასაც უბიძგებს ეროვნულ ფედერაციებს. პირველ გათამაშებაში საქართველოდან თბილისის გუნდი მონაწილეობდა, ეს არჩევი მოხდა, რადგან მაშინ ჩვენთან რეგიონული პირველობა არ ტარდებოდა. წლეულსაც ასე იყო. თებერვალში განაცხადში სფფ-მ უეფას სთხოვა ისევ ჩვენი არჩევი წარმოეგედინა გუნდი. ერთგნული ჩემპიონატის ახალი სტრუქტურის გათვალისწინებით არჩევნი კახეთის რეგიონზე შეჩერდა, რადგან კახეთში ბოლო წლებში ფეხბურთით დაინტერესება გაიზარდა და მისი განვითარებისთვის პოზიტიური ჭრილი შეინიშნება. რეგიონთა თასზე გუნდის მონაწილეობა ფეხბურთელთა ოსტატობას ამაღლებს.

● სამოყვარულო გუნდები როგორია?

— ეს უკვე ტრადიციული ტურნირია და შეიდგომაზე საქართველოდან რეგიონული პირველობის გამარჯვებული გუნდი ითამაშებს მესამე გათამაშებაში. საქართველოს ჩემპიონატის სტრუქტურა სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სისტემას. რეგიონული ჩემპიონი სპორტული პრინციპის გათვალისწინებით, ავტომატურად ითამაშებს რეგიონთა თასზე. კახეთის ტურნირში მონაწილეობას 16 ნაკრები ფეხბურთელის ფეხორასის ოლტავასა და ალექსანდრეს. კახეთის რეგიონის ნაკრებმა შესარჩევი ტურნირისთვის ორი საკონტროლო მატჩი გამართა. ხვალ ბოლო მატჩს „მ.რანის" ძირითად გუნდს „კამაზებან" და მთავარი მწვრთნელი **მიხეილ ფურცელაძე** გუნდის საბოლოო შემადგენლობასაც დაასახელებს.

„ალბათ, ჭირთული ფეხბურთის სწია, რომ დღეს, ფეხბურთელების უმეტესობა მოოქმედებენ, როგორც ფიზიკურად, ისე ტაქტიკურად. დაფიქრდის ის შეიძლება ითქვას, რომ 4 ფეხბურთელს ნამდვილად აქვს მომავალი, თუმცა დიდი მუშაობა მოუწევთ" — ამბობს მაჩიელ ფურცელაძე.

● თქვენთვის, მწვრთნელის რანგში ეს პირველი სერიოზული ტურნირია უცხოეთში, როგორ ფიქრობთ, შეძლებთ შესარჩევი ზღუდის ძალლვას?

— პირველი საკონტროლო მატჩის შემდეგ „ლოკომოტივი-2"-თან გუნდის თამაშმა არ დამაკმაყოფილა (1-1), მეორე შეხვედრაში ფეხბურთელები უკეთ გამოიყენებოდნენ და გაიმარჯვეს (3-0). ასევე ბოლო საკონტროლო შეხვედრაში „მერანის" ძირითად გუნდს ვთამაშობთ და ბოსნიაში გასამგზავრებელ შემადგენლობასაც დავასახელებთ. ფეხბურთელებისადმი ერთი მოთხოვნა იქნება მხოლოდ — მკაცრი სათამაშო დისციპლინა და მწვრთნელის დავალებების შესრულება. საერთაშორისო მატჩების გამოცდილება 5 ფეხბურთელს აქვს, ისინი თბილისის გუნდის შემადგენლობაში შარშან ანალოგიურ ტურნირში ასპარეზობდნენ და ფინალურ ტურნირშიც მონაწილეობენ. თუ რისი მიღწევა შეგვიძლია, ტურნირის შსულლობისას გამოჩნდება. ჩვენთვის შეძლებ ეტაპზე მხოლოდ ერთი ჯგუფი გადის. ფაქტი ერთია, ჩვენი შესაძლებლობები მაჭსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. მინდა მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც გუნდის მზადებაში მეხმარებოდა, უპირველესად ფეხბურთის ფედერაციას საკონტროლო მატჩების ორგანიზებისთვის.

კახეთის რეგიონის გუნდი ბოსნიაში 17 სექტემბრის მიეგზავნება. შესარჩევ ქვეჯგუფში ჩვენს მეტოქეებს ასეთი თანმიმდევრით შეეხვედრებით: **18 სექტემბერს — რუმინელებს, 20 სექტემბერს — ბოსნიას და 22 სექტემბერს — აზერბაიჯანს. ორი მატჩი ზენიცაში გაიმართება, ერთიც ფოდობანაე.**

სპას ლომიანაე

ერთი ნაბიჯით ნახევარფინალისკენ

თბილის დიდი ბიზნესი ზუგდიდში, მერე, ფეხბურთს რა?

ფრონტისპორა ზუგდიდში, რომელის მოსახლეთაც დევნილებისაგან 200 000 აღწევს, სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობას დიდ პატივს სცემენ. სამწუხაროდ, ამჟამად ზუგდიდში საფეხბურთო ცხოვრება ნაკლებად იგრძნობა. სამაგიეროდ, მომძლავრდა ტოტალიზატორები და მის გარშემო დიდი ვნებათაღელვაა ატეხილი. როგორც იქნა — ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა ზუგდიდის „დინამომ" — ეს არის ერთადერთი გუნდი, რომელისკენაცაა მიპყრობილი მრავალათასიან ზუგდიდელ გულშემატკივართა ყურადღება.

ძალიან ძნიშე დღეში რეგიონულ ჯგუფში მოთამაშე ზუგდიდის „ლაზიკა". როგორც „დინამოში", აქაც მთავარი პრობლემა უსახსრობაა, არადა, გუნდის პრეზიდენტი — გია კანკია — ზუგდიდის ცენტრალური სუპერმარკეტის (ყოფილ საკოოპერაციო ბაზრის) დირექტორიც გახლავთ. სამწუხაროა, რომ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ზუგდიდს გუნდი არა ჰყავს. ზუგდიდის „ოდიშს" ყოფილი მწვრთნელის სოსო ჭედიას ძალისხმევის მიუხედავად, ფინანსური ხელმოკლეობის გამო გუნდი უმაღლეს ლიგას გამოემშვიდობა. ისე, თუ იქნება ადგილობრივი ხელისუფლების, ფეხბურთის მესვეურთა სურვილი, ერთი გუნდის ყოლა მაინც ეროვნულ ჩემპიონატში არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მხოლოდ ე.წ. „თხილის ბიზნესიდან" შემოსული თანხით შესაძლებელია გუნდის შენარჩუნებაც.

ყოველწლიურად ზუგდიდში 7 000 ტონა თხილი მზადდება. ამას ემატება — მეზობელი გალის რაიონიდან შემოტანილი თხილიც. და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ბიზნესიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ შედის. ზუგდიდში არსებული 50-მდე თხილის მიმღებ-დამამზადებელი პუნქტები თურმე თბილისშია რეგისტრირებული და, შესაბამისად, მოზიდული თანხაც ალბათ დედაქალაქის ბიუჯეტში ირიცხება. თუ ზუგდიდიდან გატანილ თითოეულ კილოგრამზე ე.წ. მოსაკრებლების სახით დედაქალაქის ბიუჯეტში ერიცხება 50 თეთრი, ზუგდიდის ბიუჯეტში მოლი ლარზე მეტი თანხა შევა და ადვილი წარმოსადგენია, როგორ დაეხმარებოდა ეს თანხა ზუგდიდს საეროთ და მის საფეხბურთო ცხოვრებას კარგად.

ლადო ძირია,
ზუგდიდი, „ლელოს" სპ. კორ.

პირველი ლიგა III ტური

სამგურალო — თორი 1-0
ცხინვალი — მილანი 2-1
დინამო (ზ) — მეტალურგი 0-0
შუქურა — თბილისი 4-0
კოლხეთი (ხ) — ოვერია 1-0
ოკეანე — ლოკ-2/გურია — 0-0

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცხინვალი	2	2	0	0	6-4	6
ლოკ.-2-გურია	2	1	1	0	1-0	4
მეტალურგი	2	1	1	0	1-0	4
შუქურა	2	1	0	1	4-1	3
მილანი	2	1	0	1	2-2	3
კოლხეთი	2	1	0	1	1-1	3
სამგურალო	2	1	0	1	1-1	3
თბილისი	2	1	0	1	1-4	3
ოკეანე	2	0	2	0	1-1	2
ოვერია	2	0	1	1	1-2	1
დინამო	2	0	1	1	0-1	1
თორი	2	0	0	2	3-5	0

ფეხბურთის გულშემატკივრებო!

ბანკი აღორძინა და შეგიქმნა საკარმიდამო, ჭრიჭინა და ანკესგაზრდილ ნაკრებებს იგულისხმა ვინაიდან ფეხბურთის ბედზე ვინ ფიქრობს?

ბანკი და ლიგა ერთ ეთნიკურ, ფლორენციის, სანგვინის და კრემის ლიანდაგებზაა თავისუფლებით დასვეთი?

ვეფხვისტყაოსნის შიკრაკი „კრიტიკოსი".
ვილაპარაკოთ: ლაქუთის 27.
ბელუაშინგი: 55-46-55, 38-68-33.
ჯინაზეები: ბარაბურული ჯიში. რობსპარკასელი ვინ საბუთარ საფრანგეთი ქუბაში. ყველაფერი ეს ჭაობიდან 1000 დოლარად.
ინიციატორი: ალექსანდრე ვეფხვისტყაოსანი. საბუთები ვინიციაა 20 სექტემბრამდე.

ევროპის ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

„ლაციო" ჩემპიონთა თასს უმიზნებს

დღეს და ხვალ სტარტს აიღებს ჯგუფური ტურნირი

რომის „ლაციომ" მთავარამ მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა განაცხადა, რომ ამ სეზონში მისი გუნდისთვის მთავარი ამოცანაა ჩემპიონთა ლიგის მოგება: „ცხადია, სკუდეტოსა და ტროფის თასის მოგებისთვისაც ვიბრძოლებთ, მაგრამ ყველაზე დიდ სიამოვნებას მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონთა თასს დავეუფლებით. ეს ხომ ყველაზე პრესტიჟული ტურნირია და მასში გამარჯვება პრაქტიკულად მსოფლიოს საუკეთესო გუნდად ქცევას ნიშნავს".

ფეხბურთის გულშემატკივრებს შეეახსენებთ, რომ დღეს და ხვალ სტარტს აიღებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირი.

12 სექტემბერი. სპარტაკი — ლევერკუზენი, სპორტინგი — რეალი, სპარტა — არსენალი, შახტარი — ლაციო, ვალენსია — ოლიმპიაკოსი, ლიონი — ჰერტვენი, გალათასარაი — მონაკო, რენჯერსი — შტურმი.

